



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საერთაშორისო
ურთიერთობები
დოქტორანტურა

შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი(ებ)ი 26.11.2020

დასკვნის წარდგენის თარიღი 27.12.2020

თბილისი
2020

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს ქართულ ამერიკული უნივერსიტეტი; შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	206169304
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამა
უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ინგლისური
ECTS კრედიტების რაოდენობა	60
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული, აკრედიტებულია საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2015 წლის 10 დეკემბრის #138 გადაწყვეტილებით

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დავით გეგეჭკორი, სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია,	ნინო ფავლენიშვილი, სსიპ ილიას

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

ქვეყანა)	სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნანა ფირცხელანი, შპს კავკასიის უნივერსიტეტი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის სამართლის, სოციალურ მეცნიერებათა და დიპლომატიის სკოლის (ფაკულტეტი) საერთაშორისო ურთიერთობების (ინგლისური) სადოქტორო პროგრამა ხორციელდება 2016-2017 წლის შემოდგომის სემესტრიდან. პროგრამა აკრედიტირდა 2015 წლის 10 დეკემბერს, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს # 138 გადაწყვეტილებით, 5 წლის ვადით.

პროგრამამ მცირე ცვლილებები განიცადა აკრედიტაციის შემდეგ, კერძოდ:

1. პროგრამაში ჩართულ აკადემიურ პერსონალში შეიტანეს საკადრო ცვლილებები:

პროგრამის ხელმძღვანელად დაინიშნა უცხოეთის პროფესორი პეტრ ოტელიკი (მასარიკის უნივერსიტეტი, ჩეხეთი);

პროგრამის განხორციელებაში ახალი აკადემიური პერსონალი მონაწილეობდა.

2. სასწავლო კომპონენტი განისაზღვრა როგორც 30-60 კრედიტი და შესაბამისად კვლევის კომპონენტი - 120-150 კრედიტი, რითაც დოქტორანტებს მეტი თავისუფლება მიენიჭათ მათთვის საჭირო უნარების გასაღრმავებლად და საკუთარი პროფილის დაგეგმვაში.

3. პროგრამაში არ არის გათვალისწინებული სპეც. კურსები;

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის MES 9 20 0001094918, 14/11/2020 ბრძანების საფუძველზე მიმდინარე წლის 26 ნოემბერს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა შემადგენლობით: დავით გეგეჭკორი (თავმჯდომარე); ნინო ფავლენშვილი (წევრი); ნანა ფირცხელანი (წევრი) განახორციელა ონლაინ ვიზიტი თბილისში შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტში საერთაშორისო ურთიერთობების ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით. ვიზიტი მიმდინარეობდა დისტანციურ რეჟიმში დაწესებულებასთან წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციას, მოისმინა დაწესებულების ხედვა აღნიშნული პროგრამის განხორციელებასთან და სამომავლო პერსპექტივებთან დაკავშირებით, შეხვდა და გაესაუბრა პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს და სამსახურის წარმომადგენლებს, პროგრამის ხელმძღვანელს, ასევე გაიმართა შეხვედრები PhD სტუდენტთა სამეცნიერო ხელმძღვანელებთან. ჯგუფმა ონლაინ დაათვალიერა პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნეს ძირითადი მიგნებები.

• საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

სტანდარტი 1 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 2 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 3 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 4 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 5 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

▪ **რეკომენდაციები**

1. რეკომენდირებულია მიღების წინაპირობების უფრო ნათლად ჩამოყალიბება, ზოგადად ტრანსფარენტული წინაპირობების გამოყენება
2. რეკომენდირებულია სასწავლო კურსი კვლევის მეთოდები გადავიდეს სავალდებულო კურსებში
3. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ მიუხედავად უნივერსიტეტის მზაობისა, მაქსიმალურად იყოს სხვადასხვა საუნივერსიტეტო მასშტაბის ინტერნაციონალიზაციის პროცესში ჩართული, კარგი იქნება, თუ ქართულ ამერიკული უნივერსიტეტი და უფრო კონკრეტულად პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა, უფრო მეტად იქნება ჩართული საერთაშორისო პროცესებში, რაც გულისხმობს სტუდენტთა და აკადემიური, თუ ადმინისტრაციული პერსონალის მობილობის, ტრენინგებისა და საერთაშორისო აქტივობებში ჩართვას; უნივერსიტეტში მეტი გაცვლითი პროგრამის არსებობას; მეტ უცხოურ უსდ-სთან კავშირსა და თანამშრომლობას; სტუდენტებისთვის საერთაშორისო პროექტების შესახებ დეტალური ინფორმაციის მიწოდებას.
4. რეკომენდირებულია სასწავლო კურსი აკადემიური წერა გადავიდეს სავალდებულო საგნებში
5. სასურველია განხორციელდეს აკადემიური წერის სილაბუსის მოდერნიზება, რომ არ ქონდეს გადაფარვა სასწავლომკურსთან მეცნიერების კომერციალიზაცია
6. რადგან პროგრამა არის ინგლისურენოვანი და ის ერთნაირად არის გათვლილი როგორც უცხოელი ასევე ქართველი სტუდენტებისათვის რეკომენდირებულია ქართულ ენას არ მიენიჭოს კრედიტები

▪ **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- ტრენინგები კვლევის თანამედროვე მეთოდებში;
- ტრენინგები სწავლების თანამედროვე მეთოდებში;
- აკადემიური პერსონალის მიტივირება შიდა (ან გარე) გრანტის მოსაპოვებლად კვლევების ჩასატარებლად დარგის მიმართულებების შესაბამისად,
- სასურველია პროგრამას დაემატოს მემორანდუმები დამსაქმებლებთან

▪ **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

არ არის განსაზღვრული

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

აღწერა და შეფასება

საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამის მიზანია:

- სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მოთხოვნათა შესაბამისად კვლევითი საქმიანობისათვის სამეცნიერო კადრის მომზადება, რომელიც შეძლებს ფართო, ღრმა, სისტემური კვლევის წარმოებას;
- მეცნიერული კვლევის შედეგების პრაქტიკაში დანერგვის გზების ძიება და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება;
- საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში მაღალი ხარისხის სამეცნიერო ნაშრომის შექმნა, რომელიც წარმოაჩენს პრობლემას და სიახლეს შესაბამისი საკითხის შესწავლა-განვითარებაში;
- უმაღლესი განათლების სისტემის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად თანამედროვე სწავლება-სწავლის მეთოდოლოგიით აღჭურვილი აკადემიური კადრის მომზადების ხელშეწყობა.

პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მისგან გამომდინარე მიზნებს და უნივერსიტეტის სტრატეგიას,

პროგრამაზე მუშაობის პროცესში განხორციელდა შრომის ბაზრის კვლევა, რათა გათვალისწინებული ყოფილიყო, როგორც ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნები, ისე საერთაშორისო ბაზრის თანამედროვე ტენდენციები. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ გაანალიზდა შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მიერ განხორციელებული დამსაქმებელთა ინტერესთა კვლევის ანალიზი. კვლევის საბოლოო შედეგები აისახა მოდიფიცირებულ პროგრამაში.

პროგრამაზე მუშაობისას გათვალისწინებული იქნა აგრეთვე უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა.

უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების (ინგლისურენოვანი) სადოქტორო პროგრამა განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის და შემუშავების პროცედურა უნივერსიტეტში გამჭვირვალეა და მასში ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე, კერძოდ, აკადემიური

პერსონალი, ადმინისტრაციული პერსონალი, დამსაქმებლები და სხვა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საერთაშორისო ურთიერთობების (ინგლისურენოვანი) სადოქტორო პროგრამა (პროგრამის მიზნები);
- შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის მისია, მიზნები და სტრატეგია; უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმა იხ. უნივერსიტეტის ვებგვერდზე gau.edu.ge;
- შრომის ბაზრის ანალიზი;
- დამსაქმებელთა მოთხოვნა და ინტერესები;
- უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა;
- უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგები

ჩამოყალიბებულია „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ბოლო ცვლილებების (20.09.2018) და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის #69/ნ ბრძანებით დამტკიცებული განახლებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისად.

საერთაშორისო ურთიერთობების (ინგლისურენოვანი) სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგებია:

1. აქვს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში უახლეს მიდწევებზე დამყარებული ცოდნა, რომელიც არსებული ცოდნის გაფართოებისა თუ ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა, მათ შორის, მულტიდისციპლინურ ან ინტერდისციპლინურ კონტექსტში;
2. კრიტიკულად იაზრებს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში განხორციელებულ ცვლილებებს, სიახლეებს და არსებულ პრობლემატიკას;
3. გეგმავს და ახორციელებს კვლევას აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით;
4. შეიმუშავებს ახალ კვლევით ან ანალიტიკურ მეთოდებს ან/და მიდგომებს, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული (საერთაშორისო რეფერირებადი პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე);
5. საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში ახდენს ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკულ ანალიზს, სინთეზს და შეფასებას, რის შედეგადაც დამოუკიდებლად იღებს (კვლევას ან/და ინოვაციაში) კომპლექსური პრობლემების გადაჭრისათვის სწორ და ეფექტურ გადაწყვეტილებას;

6. შეიმუშავებს მეცნიერულ რეკომენდაციებს (ნორმატიული ხასიათის წინადადებებს) დარგის განვითარებისათვის; პროგრამის სწავლის შედეგები ჩამოყალიბდა შრომის ბაზრის მოთხოვნების ანალიზის, აგრეთვე ყველა დაინტერესებული მხარის (აკადემიური/მოწვეული პერსონალი, დამსაქმებლები...) მონაწილეობის საფუძველზე, ეს პროცესი კარგად არის ასახული პროგრამაზე თანდართულ და უნივერსიტეტში არსებულ დოკუმენტაციაში, რომელიც ქვემოთ არის მითითებული. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, სადაც დაწვრილებით არის აღწერილი როგორც შეფასების პროცესი, ისე ყველა მეთოდი, ინსტრუმენტი და სამიზნე ნიშნული/რუბრიკა, რომლის საფუძველზეც ხორციელდება შეფასება. ამ მექანიზმის საფუძველზე საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება დაიგეგმა და განხორციელდა 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის ბოლოს და მოხდა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შედეგების ანალიზი და ჩამოყალიბდა გარკვეული რეკომენდაციები. რომელიც სრულად აისახა მოდიფიცირებულ პროგრამაში და რეგულაციებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საერთაშორისო ურთიერთობების (ინგლისურენოვანი) სადოქტორო პროგრამა (პროგრამის მიზნები, პროგრამის სწავლის შედეგები, სწავლის შედეგების რუკა); ○ შრომის ბაზრის ანალიზი; ○ დამსაქმებელთა მოთხოვნა და ინტერესი; ○ სკოლის (ფაკულტეტის) საბჭოს ოქმები; ○ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში არსებული მასალები; ○ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა

აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
○ შეფასება ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების (ინგლისურენოვანი) სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა; მიღების მოთხოვნები სადოქტორო პროგრამაში მისაღებ კანდიდატებთან მიმართებაში საჯაროა, ხოლო ინფორმაცია მისაღებ პროცედურებსა და მოთხოვნებზე ხელმისაწვდომი. რაც ადვილეს მსურველთათვის გადაწყვეტილების მიღებას. ინფორმაცია ქვეყნდება უსდ-ს ვებ-გვერდზე. შესაძლებელია პროგრამაზე მიღება გამოცხადდეს წელიწადში ორჯერ.

საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების უფლება აქვს ნებისმიერ ფიზიკურ პირს, თუ ის აკმაყოფილებს შემდეგ წინაპირობებს: უნდა ფლობდეს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებულ აკადემიურ ხარისხს, დასაშვებია უცხოეთში განათლებამიღებულის ჩარიცხვა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. აპლიკანტს მოეთხოვება ინგლისური ენის ცოდნა C1 დონეზე. ენის ცოდნის დასადასტურებლად მან უნდა წარმოადგინოს შესაბამისი სერტიფიკატი ან გაიაროს ტესტირება, რომლის ორგანიზებას აკეთებს სამართლის, სოციალური მეცნიერებისა და დიპლომატიის სკოლის ადმინისტრაცია. აპლიკანტებს, რომელთაც გავლილი აქვთ ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო (I, II და/ან III საფეხურის) პროგრამები თავისუფლდებიან ტესტირებისაგან.

მომავალმა დოქტორანტმა უნდა წარმოადგინოს განაცხადი სკოლის სადისერტაციო საბჭოს სახელზე წინასწარ გამოცხადებული საკვლევი თემატიკის შესაბამისად. ამის შემდეგ, სკოლა ქმნის დროებით დარგობრივ კომისიას, რომლის წინაშე აპლიკანტი წარსდგება გასაუბრების ფორმატში. მან უნდა აჩვენოს პროგრამაში ჩასარიცხად საჭირო დარგობრივი ცოდნა.

წინა აკრედიტაციის (2015 წელი) შემდეგ, პროგრამამ განიცადა მთელი რიგი ცვლილებები. დღეის მოცემულობით, პროგრამის ხელმძღვანელია უცხოელი პროფესორი - პეტრ ოცელიკი, მასარიკის უნივერსიტეტიდან, ჩეხეთი. მოხდა ახალი აკადემიური პერსონალის მოზიდვა. ცვლილება შეეხო პროგრამის სტრუქტურასაც. შემცირდა სასწავლო კომპონენტი. ის განისაზღვრა 30-60 კრედიტით. გაიზარდა კვლევითი ნაწილი (120-150 ECTS). პროგრამიდან ამოღებულია დარგობრივი კურსები; შეიცვალა სადისერტაციო ნაშრომის შეფასების წესი.

პროგრამა საჭიროებს მიღების წინაპირობების დახვეწას. კერძოდ, სასურველია დაკონკრეტდეს მაგისტრის კვალიფიკაცია (მაგ. საერთაშორისო ურთიერთობები, პოლიტიკის მეცნიერება, სოციალური მეცნიერება და ა.შ.) ან პროგრამას დაემატოს ძირითადი მიმართულების ერთი კურსი სავალდებულო კომპონენტში და რამოდენიმე სპეციალობის კურსი არჩევით კომპონენტში. დაზუსტდეს აპლიკანტის განაცხადის ფორმატი. კვლევის ინტერესის ზეპირ წარდგენას დაემატოს წერილობითი განაცხადი (ესსე, ფროფოუზალი, კვლევითი რეფერატი ან სხვა). წერილობითი განაცხადი გააიოლებს აპლიკანტთან ურთიერთობას უკმაყოფილების შემთხვევაში. ადვილი გახდება მისთვის პროგრამაში მიღებაზე უარის მკაფიოდ განმარტება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საერთაშორისო ურთიერთობების (ინგლისურენოვანი) სადოქტორო პროგრამა;
- სამართლის, სოციალური მეცნიერებების და დიპლომატიის სკოლის (ფაკულტეტის)

სადისერტაციო საბჭოს დებულება; უნივერსიტეტის ვებგვერდი.
რეკომენდაციები: • დაკონკრეტდეს მაგისტრის კვალიფიკაცია (მაგ. საერთაშორისო ურთიერთობები, პოლიტიკის მეცნიერება, სოციალური მეცნიერება და ა.შ.); • პროგრამის წინაპირობა და დარგობრივი ცოდნის დაუფლების შესაძლებლობა მოვიდეს შესაბამისობაში; • სასურველია, პროგრამაზე მიღების წინაპირობებს დაემატოს ახალი მექანიზმი, რომელიც გამოკვეთს კვლევით ინტერესს/უნარებს (მაგალითად, კვლევითი რეფერატი). • რეკომენდირებულია მიღების წინაპირობების უფრო ნათლად ჩამოყალიბება, ზოგადად ტრანსფარენტული წინაპირობების გამოყენება
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის კარგი იქნებოდა, მიღების ერთ-ერთი წინაპირობა იყოს აპლიკანტის მიერ კვლევითი გამოცდილების ფლობა (კონფერენციებში მონაწილეობა, პუბლიკაცია).
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის,

შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტში მოქმედებს საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რის საფუძველზეც მოხდა პროგრამის შემუშავება და მოდიფიცირება.

პროგრამა შემუშავებულია ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად.

სადოქტორო პროგრამის მოცულობა:

საერთაშორისო ურთიერთობების (ინგლიუსრენოვანი) სადოქტორო პროგრამა მოიცავს სასწავლო და კვლევით კომპონენტს. სასწავლო კომპონენტს შეიძლება დაეთმოს არანაკლებ 30 და არაუმეტეს 60 კრედიტისა. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დოქტორანტურაში სწავლის ხანგრძლივობა არ შეიძლება იყოს 3 წელზე ნაკლები.

სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი:

სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი მიზნად ისახავს დოქტორანტის დარგობრივ და მეთოდოლოგიურ დახელოვნებას, ხელს უწყობს დოქტორანტს სამეცნიერო ნაშრომის შესრულებაში და ამზადებს მას მომავალი პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობისათვის.

სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი იყოფა სავალდებულო და არჩევით ელემენტებად.

სავალდებულო და არჩევითი ელემენტები განისაზღვრება სადოქტორო პროგრამით.

სადოქტორო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი

სადოქტორო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის მიზანია ჩამოუყალიბოს/განუვითაროს დოქტორანტს სამეცნიერო-კვლევითი უნარები.

სადოქტორო პროგრამის სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტია სამეცნიერო ნაშრომი, რომლის შესრულება დასტურდება სადისერტაციო ნაშრომის წარდგენით და დაცვით.

დისერტაციის შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სადოქტორო პროგრამით.

სადოქტორო პროგრამის თავისუფალი კომპონენტი

სადოქტორო პროგრამა ითვალისწინებს თავისუფალ კომპონენტს - თავისუფალ კრედიტს, რომელსაც დოქტორანტი აგროვებს არჩევითი სასწავლო კომპონენტის ნაცვლად სკოლაში

(ფაკულტეტზე) ან ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში არსებული სხვა იმავე საფეხურის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამიდან; საქართველოს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არსებული აკრედიტებული იმავე საფეხურის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამიდან; უცხოეთის უმაღლეს სასწავლებელში არსებული იმავე საფეხურის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამიდან დაგროვებული კრედიტების საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით აღიარების შემთხვევაში. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ეტაპზე პროგრამას არ ჰყავს კურსდამთავრებული.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამა;
- საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან, ლექტორებთან, დოქტორანტებთან.

რეკომენდაციები:

- სადოქტორო პროგრამაზე მიღების არსებული წინაპირობა არ ითხოვს მაგისტრანტისგან პროფილურ კვალიფიკაციას; შესაბამისად, მისთვის აუცილებელია, დარგისათვის საჭირო ცოდნის შესაძენად სავალდებულო საგნად შეთავაზებული იყოს პროფილური საგან(ებ)ი,
- არჩევით კომპონენტში სპეციალობის საგნების შეთავაზება,
- სწავლის მიმდინარეობისას (მე-3, მე-4 სემესტრში) შუალედური ანგარიშის (პროსპექტუსის) წარდგება, რაც უფრო ეფექტიანს გახდის სტუდენტის კვლევით პროცესს,
- თემატური სემინარის რაოდენობის გაზრდა, რაც გააღრმავებს დოქტორანტის დარგობრივ ცოდნას და კვლევით უნარს, გამოუმუშავებს მას ზეპირი პრეზენტაციის ჩვევას.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ო გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სავალდებულო სასწავლო კომპონენტის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, კურსისთვის გამოყოფილი კრედიტის რაოდენობა შეესაბამება კურსის შინაარსს და სწავლის შედეგებს.

სავალდებულო სასწავლო კომპონენტი - თემატური სემინარი I, დანარჩენი სასწავლო კომპონენტები არჩევითია, თუმცა აკადემიური წერის სასწავლო კურსი სავალდებულოა იმ დოქტორანტისთვის, რომელსაც წინა საფეხურის უმაღლეს აკადემიურ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლისას არ აქვს გავლილი აღნიშნული სასწავლო კურსი. ასევე, პროფესორის ასისტენტობის სასწავლო კომპონენტის გავლა სავალდებულოა იმ დოქტორანტისთვის, ვისაც არ აქვს ლექციის/სემინარის კითხვის მინიმუმ ორ წლიანი გამოცდილება. (აკადემიური წერის სასწავლო კურსის გავლა უნდა დასტურდებოდეს დიპლომის დანართით ან/და ტრანსკრიპტით, ხოლო პედაგოგიური გამოცდილება შესაბამისი დაწესებულების მიერ გაცემული ცნობით)

სასწავლო კომპონენტების სილაბუსებში დაწვრილებით არის გაწერილი სწავლება-სწავლის მეთოდოლოგია და შეფასების სისტემა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამა,
- საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში,
- სასწავლო კურსების სილაბუსები,
- ინტერვიუები სტუდენტებთან, აკადემიური პერსონალსა და პროგრამის ხელმძღვანელთან.

რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია სასწავლო კურსი კვლევის მეთოდები გადავიდეს სავალდებულო კურსებში 2. რეკომენდირებულია სასწავლო კურსი აკადემიური წერა გადავიდეს სავალდებულო საგნებში 3. სასურველია განხორციელდეს აკადემიური წერის სილაბუსის მოდერნიზება, რომ არ ჰქონდეს გადაფარვა სასწავლო კურსთან მეცნიერების კომერციალიზაცია 4. რადგან პროგრამა არის ინგლისურენოვანი და ის ერთნაირად არის გათვლილი, როგორც უცხოელი, ასევე ქართველი სტუდენტებისათვის რეკომენდირებულია ქართულ ენას არ მიენიჭოს კრედიტები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ვინაიდან პროგრამა უმაღლესი განათლების მესამე საფეხურს მიეკუთვნება, მის ერთ-ერთ სავალდებულო ელემენტი სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტია. სტუდენტს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის ათვისებაში, აგრეთვე სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნებაში დახმარებას უწევს სამეცნიერო ხელმძღვანელი. სამეცნიერო ხელმძღვანელის ფუნქციები ამ მიმართულებით დაწვრილებით არის გაწერილი სადისერტაციო საბჭოს დებულებაში. სადოქტორო პროგრამის სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ სკოლის აკადემიური პერსონალის/სამეცნიერო ხელმძღვანელის ხელშეწყობით მონაწილეობა მიიღონ სამეცნიერო კონფერენციებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საერთაშორისო ურთიერთობების (ინგლისურენოვანი) სადოქტორო პროგრამა; ○ სადისერტაციო საბჭოს დებულება; ○ ინტერვიუები პროგრამის აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ შეიქმნას და ამოქმედდეს დოქტორანტების კვლევით საქმიანობაში დაინტერესებისა და ჩართვის ქმედითი მექანიზმები; ○ სასურველია, გააქტიურდეს კონკრეტულად საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამის სტუდენტების ჩართულობა იმ ორგანიზაციების საქმიანობაში (კონკრეტულად დარგში მომუშავე), რომელთანაც უნივერსიტეტს დადებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმები სტუდენტების პრაქტიკული და კვლევითი უნარების განვითარება/გამძლიერების მიზნით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
--

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი დოქტორანტურის საფეხურზე გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები (შესაბამისი აქტივობებით) და შეფასების სისტემა არსებითად განსხვავდება უმაღლესი განათლების სხვა საფეხურზე გამოყენებული მეთოდების და შეფასების სისტემისგან. პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში დაწვრილებით არის მოცემული სწავლება-სწავლის მეთოდები, რომელიც შეესაბამება კურსის სპეციფიკას, შინაარსს, სწავლის შედეგებს. სადისერტაციო საბჭოს დებულების შესაბამისად დოქტორანტურაში ჩარიცხვიდან ერთი თვის განმავლობაში დოქტორანტი საკუთარი ინდივიდუალური საჭიროებებიდან და ინტერესიდან გამომდინარე თავის სამეცნიერო ხელმძღვანელთან შეთანხმებით ადგენს ინდივიდუალურ სასწავლო და ინდივიდუალურ კვლევით გეგმებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საერთაშორისო ურთიერთობების (ინგლისურენოვანი) სადოქტორო პროგრამა და სილაბუსები; ○ დოქტორანტთა ინდივიდუალური გეგმები. ○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან, ლექტორებთან, დოქტორანტებთან.
რეკომენდაციები: შემუშავდეს კვლევით პროექტში ჩართვის ფიქსირებული (მაგალითად, მიენიჭოს დამატებითი კრედიტი ან იყოს რომელიმე უკვე არსებული საგნის ერთ-ერთი სავალდებულო მოთხოვნა და ა.შ.) მექანიზმი ან <i>კვლევითი პროექტის</i> კურსი გახდეს სავალდებულო.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის

შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამასა და წარმოდგენილ სილაბუსებში გაწერილი სტუდენტის შეფასების პროცედურები გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი. სტუდენტს სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტის შეფასების კრიტერიუმების შესახებ ინფორმაცია მიეწოდება სემესტრის დასაწყისში როგორც სილაბუსებისა და პროგრამის მეშვეობით, ასევე GAU-ს აკადემიური პორტალის მეშვეობით. უნივერსიტეტში სწავლის შედეგების მიღწევის დონე ფასდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის #3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის და უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მართვის შესაბამისად.

აღსანიშნავია, რომ სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს დასკვნით შეფასებას - 100 ქულას. თითოეული საგნის სილაბუსში მოცემულია შეფასების დეტალური აღწერა, სასწავლო აქტივობის, ქულებისა და შეფასების მექანიზმების მითითებით, რაც შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

აღსანიშნავია, რომ სასწავლო კურსების შეფასების მეთოდები მოიცავენ შემდეგ კომპონენტებს: დისკუსიაში მონაწილეობას, სემინარებს, თემატური პროექტის/ესსეს და ზეპირი ან/და წერითი გამოცდის ჩატარებას, ასევე ზეპირ ან/და წერით გამოკითხვას, პრაქტიკული/თეორიული სამუშაოს შესრულებას, საშინაო დავალებას წარმოდგენას. შეფასება ხორციელდება ესეს. შეფასების თითოეულ ფორმას და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი და აქვს მინიმალური

კომპეტენციის ზღვარი რაც გაწერილია სასწავლო კურსების სილაბუსებში.

